ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 77

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, ამ კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის განცხადების ცნობად მიღებისა და მისთვის საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37–ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 106-ე მუხლის შესაბამისად და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის წერილობითი განცხადების საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის წერილობითი განცხადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე. გამომდინარე აქედან, 2022 წლის 25 მაისიდან, ამირან კოპალეიშვილი თანამდებობიდან გადამდგარია და შეწყვეტილი აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის წერილობითი განცხადება წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია